

საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №5

2006 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

ქვეყნის საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული და უსაფრთხო საზოგადოების მშენებლობის საქმეში საქართველოს პროკურატურის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურის ყოველი მუშაკის საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მხედველობაში მიღებით, ასევე იმის აღიარებით, რომ საქართველოს პროკურატურის მუშაკის პროფესიონალური და ეთიკური მუშაობის პრინციპების განუხრელად დაცვის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოში მართლმსაჯულების სამართლიანი და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ო“ და „ს¹“ ქვეპუნქტებისა და 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის თანდართული კოდექსი.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზ. ადეიშვილი

დანართი

საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი

თავი 1

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

1. საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი (შემდგომში – კოდექსი) აყალიბებს პროკურატურის მუშაკთა ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს.

2. კოდექსის მიზანია პროკურატურის მუშაკთა ქცევის ნორმების დამკვიდრება, რომლებიც ხელს უწყობენ:

ა) თანამდებობის შესაბამისი პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას პროკურატურის მუშაკის საქმიანობაში;

ბ) პროკურატურის მუშაკის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ განხორციელებას;

გ) ადამიანის უფლებათა დაცვას საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებით;

დ) სამართლიანი, ეფექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას;

ე) მართლმსაჯულების უპირობო და ეფექტური აღსრულების მიზნებისა და ამოცანების შესრულებას;

ვ) პროფესიულ და პირად საქმიანობაში პროკურატურის მუშაკის მიერ კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას;

ზ) საქართველოს პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.

მუხლი 2. კოდექსის განმარტება

კოდექსი არ შეიძლება შეზღუდულად იქნეს განმარტებული. მისი დებულებები სრულად გამოიყენება პროკურატურის მუშაკის ისეთი ქცევის მიმართ, რომლებიც კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ამ კოდექსის პრინციპებიდან.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

კოდექსის მოქმედება თანაბრად ვრცელდება საქართველოს პროკურატურის მუშაკებზე მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

თავი 2

ზოგადი ეთიკური ნორმები

მუხლი 4. მორალური სტანდარტები

1. პროკურატურის მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი პროფესიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას საზოგადოების წინაშე გააჩნია საჯარო მოსამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.

2. პროკურატურის მუშაკი უნდა მოქმედებდეს პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით. იგი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებით, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებით. პროკურატურის მუშაკი ხელს უნდა უწყობდეს პროკურატურის მიმართ საზოგადოების რწმენისა და ნდობის განმტკიცებას.

მუხლი 5. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

1. პროკურატურის მუშაკი უნდა აცნობიერებდეს, პატივი უნდა სცეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუტუტით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაო პრინციპი სავალდებულოა პროკურატურის მუშაკისათვის.

2. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

მუხლი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს დასაბუთებულ კრიტიკას. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები.

2. დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით.

მუხლი 7. დამოუკიდებლობა და გავლენისაგან თავისუფლება

1. პროკურატურის მუშაკი თავისუფალი უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ცალკეულ პირების (მათ შორის, თანამდებობის პირთა) გავლენისაგან და დაემორჩილოს მხოლოდ კანონს, სასამართლო პრაქტიკას, შიდაუწყებრივ მითითებებსა და ზოგად საჯარო ინტერესს.

2. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია სრული პასუხისმგებლობა აიღოს თავის ქმედებებზე. დაუშვებელია საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის მოხსნა ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ გაცემულ დავალებაზე მითითებით.

3. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია თავი შეიკავოს რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ გაერთიანების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვისაგან. დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ პოლიტიკური მრწამსის ნიშნების აშკარა

დემონსტრირება. აგრეთვე დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ რელიგიური შეხედულებების აშკარა გამოხატვა, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

თავი 3

პროკურატურის მუშაკი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას

მუხლი 8. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება

1. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის.

2. დაუშვებელია:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ნებისმიერ პირზე უკანონო ზეწოლისათვის;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პროდუქციისა თუ მომსახურების რეკლამისათვის;

გ) სამსახურებრივი დროისა და ქონების, ასევე სხვა თანამშრომელთა დროისა და ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისათვის (ეს წესი არ ვრცელდება სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და სამსახურებრივი ტრანსპორტის გამოყენებაზე);

დ) პირადი ინტერესებისათვის იმ ინფორმაციის გამოყენება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, თუ ეს ზიანს მიაყენებს საქართველოს პროკურატურის ინტერესებს;

ე) შეღავათებით სარგებლობა პროდუქციისა და მომსახურების შეძენისას იმ პირისაგან, რომელიც ახორციელებს საქართველოს პროკურატურისათვის პროდუქციის ან მომსახურების მიწოდებას.

მუხლი 9. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის მუშაკი მკაცრად უნდა იცავდეს კერძო ინტერესებისაგან დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებს. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იგი არ უნდა მოექცეს ცალკეულ პირების (მათ შორის, თანამდებობის პირთა), მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა თუ საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ. პროკურორის მუშაობა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ეფექტურობის სტანდარტებს.

2. პროკურატურის მუშაკი პატივს უნდა სცემდეს უდანაშაულობის პრეზუმფციისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს, როგორც უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს.

მუხლი 10. ეფექტურობა და პროფესიონალიზმი

1. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხით და პასუხისმგებლობით შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობები.

2. პროკურატურის მუშაკი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას უნდა უნერგავდეს ყველა მხარეს მართლმსაჯულებისადმი პატივისცემას.

3. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პროკურატურის მუშაკი ვალდებულია გაუფრთხილდეს საქართველოს პროკურატურის ქონებას, იყენებდეს მას მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის. სამსახურებრივი მოძიების შედეგად თუ გამოვლინდება პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობის საფუძველი, ამ უკანასკნელმა უნდა აანაზღაუროს პროკურატურისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. იურიდიული დახმარება

პროკურატურის მუშაკმა თავი უნდა შეიკავოს სამართლებრივი კონსულტაციების მიცემისა და იურიდიული დახმარების გაწევისაგან ნებისმიერი პირისათვის, თუ ეს ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს ან საქართველოს პროკურატურის ინტერესებს.

მუხლი 12. კოლეგებთან ურთიერთობა

1. კოლეგებთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს პროფესიული სოლიდარობის პრინციპით.

2. პროკურატურის მუშაკი:

ა) ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ) საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს;

გ) თავს უნდა იკავებდეს კოლეგის საქმიანობაში ჩარევისაგან;

დ) არ უნდა ითხოვდეს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების გაწევას, რომელიც გაართულებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;

დ) წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;

ე) ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს უკმაყოფილებას კოლეგის შეცდომასა და ხარვეზებზე;

ვ) უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სხვა პრინციპებსა და ნორმებს.

მუხლი 13. საიდუმლო ინფორმაცია

დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის ხელთ არსებული საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება კერძო ინტერესების სასარგებლოდ. პროკურატურის მუშაკმა აქტიურად უნდა იმოქმედოს, რათა არ დაუშვას საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება მესამე პირთა ინტერესებისათვის.

მუხლი 14. კომენტარები სისხლის სამართლის საქმეზე

1. დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ მისი ან პროკურატურის სხვა მუშაკის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარების გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს გამოძიების ინტერესებს.

2. დაუშვებელია პროკურატურის მუშაკის მიერ მისი ან პროკურატურის სხვა მუშაკის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე კომენტარების გაკეთება, თუ ეს ზიანს მიაყენებს პროცესის რომელიმე მონაწილეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯარო ინტერესი მოითხოვს საზოგადოების ინფორმირებას მოცემულ საკითხზე ან ინფორმაციის გამოქვეყნება ემსახურება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მიზანს.

3. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია საჯაროდ არ გამოხატოს ისეთი შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება ბრალდების ოფიციალურ პოზიციას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

მუხლი 15. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობა

1. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ კოდექსით, შიდაუწყებრივი ნორმებით და სტანდარტებით, რომლებიც მიმართულია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეთა მიმართ ეთიკური და პროფესიონალური ქცევის უზრუნველყოფისაკენ.

2. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია საქმის განხილვის წინასასამართლო და სასამართლო სტადიაზე თავი შეიკავოს საქმის განმხილველ მოსამართლესთან როგორც პროფესიული, ისე არაპროფესიული მოტივით ურთიერთობისაგან (უშუალოდ საქმის სასამართლო განხილვის სტადიის გარდა), დროულად გამოცხადდეს სასამართლოს სხდომაზე, დაიცვას ოფიციალური ჩაცმულობის სტილი სასამართლოში, თავი შეიკავოს დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი ქმედებებისაგან ან განცხადებების გაკეთებისაგან, პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ განსაკუთრებით კეთილგანწყობილი ან ზედმეტად ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვისაგან, ასევე საქმისადმი პირადი დამოკიდებულების გამოვლენისაგან.

მუხლი 16. შეუფერებელი მდგომარეობა

1. პროკურატურის მუშაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, არ უნდა იმყოფებოდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც შეუფერებელია პროკურატურის მუშაკის ღირსებისათვის.

2. პროკურატურის ორგანოების შენობებში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში.

მუხლი 17. სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის გამოყენება

1. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის შენახვისა და ტარებისას.

2. პროკურატურის მუშაკი ვალდებულია თავი შეიკავოს სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობის საზოგადოებაში დემონსტრირებისაგან საჭიროების გარეშე.

3. პროკურატურის მუშაკს ეკრძალება კანონით დადგენილი წესის დარღვევით სხვა პირს გადასცეს მასზე გაპროვინებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღი ან სამსახურებრივი დანიშნულების პირადობის მოწმობა.

თავი 4

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა

მუხლი 18. საჯარო განცხადება

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული ოფიციალური წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებები უნდა იყოს საქმიანი და კარგად გააზრებული. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ეს განცხადებები შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც საქართველოს პროკურატურის პოზიცია.

2. პროკურატურის მუშაკს, რომელიც აკეთებს განცხადებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, არ ეკრძალება, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მიაწოდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმ მოცულობის ობიექტური ინფორმაცია, რომელიც ამ დროისათვის მისთვის არის ცნობილი.

თავი 5

ინტერესთა შეუთავსებლობა

მუხლი 19. შეუფერებელი საქმიანობა

პროკურატურის მუშაკი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ობიექტურად ეჭვქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა ან გავლენა იქონიოს მის სამსახურებრივ საქმიანობაზე.

მუხლი 20. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. პროკურატურის მუშაკმა უნდა დაიცვას „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

2. პროკურატურის მუშაკი, რომელსაც გააჩნია საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის მიმართ ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი, ვალდებულია კანონით დადგენილი წესით განაცხადოს თვითაცილების შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში.

მუხლი 21. საჩუქარი

1. კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

2. პროკურატურის მუშაკმა თავი უნდა შეიკავოს საჩუქრის მიღებისაგან, თუ ამგვარი ქმედება წარმოადგენს მასზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას, ან შესაძლოა მომავალში მოახდინოს ასეთი ზეგავლენა.

3. შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში პროკურატურის მუშაკმა თავი უნდა შეიკავოს იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან ნებისმიერი სახის სარგებლის მიღებისაგან.

თავი 6
კოდექსის აღსრულების მექანიზმები

მუხლი 22. კოდექსის აღსრულება

1. ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა განიხილება, როგორც პროკურატურის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელი, რაც გამოიწვევს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

2. პროკურატურის მუშაკს უფლება აქვს დაასაბუთოს საკუთარი ქმედების შესაბამისობა ეთიკის კოდექსის ძირითად პრინციპებთან და წარმოადგინოს აღნიშნული ქმედების მოტივაცია.

3. ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებზე საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია ატარებს სამსახურებრივ მოძიებას და საქართველოს გენერალურ პროკურორს წარუდგენს მოძიების მასალებს, ასევე წინადადებებს პროკურატურის მუშაკის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე.